საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№119/1

2022 წელი, 14 თებერვალი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: ალექსანდრე რაქვიაშვილის, ჰერმან საბოს, ვახტანგ მეგრელიშვილის და იაგო ხვიჩიას წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: ალექსანდრე რაქვიაშვილის, ჰერმან საბოს, ვახტანგ მეგრელიშვილის და იაგო ხვიჩიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (N07-3/164; 03.02.2022) საქართველოს ორგანული კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — შალვა პაპუაშვილი